# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 75

წელიწადი პირველი

= 1912 =

სამშაბათი, 25 დეკემბ.

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.


# შობა ქრისტესი

## 25 ქრისტეშობისთვე.

შობა—დიდი დღეა კაცობრიობის ისტორიაში. აქიდან იწყება ახალი ხანა კაცობრიობის ცხოვრებისა, ეს დღეა დასაწყისი ახალი წელთაღრიცხვისა, რადგან შესანიშნავი და საგულისხმო იყო ეს დღე ისტორიაში.

დღეს იშვა ქრისტე—მხსნელი ქვეყნისა. იშვა მაცხოვარი და მასთან იშვა აზრი ნათელი, აზრი ახალი, აზრი ცხოველი.

სამწუხარო სურათს წარმოადგენდა ძველი ქვეყანა; იტანჯებოდა ერი სულიერათ და ხორციელათ! ძლიერი სუსტსა ჩაგრავდა, მდიდარი ღარიბს არ იწყალებდა, მაღალი დაბალს არ აფასებდა. უმცირესობა მედიდურობდა, დათარეშობდა, ძალმომრეობდა, თანაც ვნებათა ღელვით გაბრუებული განცხრომას ეძლეოდა, უმეტესობა კი ნივთიერათ შევიწროებული და უფლებრივ შებოჭილი ზნეობრივათაც იჩაგრებოდა. გამწვავდა ვრთა შორის განხეთქილება, გამეფდა უკანონობა. გახშირდა ძალადობა და აივსო ქვეყანა ბოროტებით.

აი, ამ დროს გაისმა ხმა მაცხოვრისა—ხმა ზეციური, ღმობიერი, სათნო—ხმა სინათლისა და ჭეშმარიტების,—ეს ხმა იყო დაგმობა ძველისა და დასაწყისი ახლისა.

მაცხოვარმა ამცნო ქვეყანას, რომ ძალა ფიზიკური, რომლითაც მედიდურობს ადამიანი არ გამოდგება ხალხთა კავშირის საფუძვლათო; ქვეყნიური დროს ტარება და უზომო სიამოვნება არ შეადგენს ადამიანის ბედნიერებასო; ადამიანის ღირსება არ განისაზღვრება მისი გარეგნობის, შეძლებისა და ცოდნის მიხედვითო, პირიქით ადამიანის ღირსების მაჩვენებელი არის მისი ზნეობაო. ადამიანის ბედნიერება უეჭველათ გულისხმობს სინიდისის სიწმინდესა და სულიერ სიმაღლესო. გარეშე ამისა არა არს, ბედნიერება არა არს ადამიანობაო.

ძმობა, ერთობა და სიყვარული—აი ერთად ერთი გზა ადამიანის ამაღლებისა და ქვეყნათ კეთილდღეობის დამყარებისაო. სულიერი სიმშვიდე, ზნეობრივი სიმაღლე და გრძნობათა სიწმინდე—აი, სამკაული ადამიანის პიროვნებისა და იარაღი კულტურული წარმატებისაო.

ეს სიტყვები იყო უარყოფა არსებულ სახელმწიფოთა ცხოვრებისა, ეს იყო დამხობა არსებულ წესწყობილებათა და მისწრაფებათა. ბევრმა შეიგნო მოძღვრება ქრისტესი, ბევრმა ისმინა ხმა ჭეშმარიტი და განახლდა ბუნებით, მაგრამ ბევრმა ვერ შეითვისა ნათელი სწავლა და ამიტომ შეიქნა ბრძოლა. ეს ბრძოლა დაიბადა იორდანეს ნაპირს, მოედვა რომის სამეფოს და დღესაც ამ ბრძოლას განიცდის ქვეყნიერება. დღესაც ებრძვის ახალი ძველს ნათელი ბნელს სიყვარული მტრობას, ჭეშმარიტება ბოროტს და ჩვენც ჩაბმული ვართ ამ ბრძოლის კვალში.

შობა დღე ყოველ წელს მოგვაგონებს დიად ისტორიულ ფაქტს და ცხადათ წარმოგვიდგენს წარსულ სურათს. ეს მოგონება გვიმაგრებს იმედს, რომ დღეს თუ ხვალ ახალი ძველს მოერევა, ნათელი ბნელს გაფანტავს, ჭეშმარიტება ბოროტს მოსპობს და „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ დამკვიდრდება. გავიხსენოთ ეს დიდი დღე და ღრმა რწმენით განვაგრძოთ ბრძოლა ბოროტებასთან, რათა ბრძოლით ნათელი დავამკვიდროთ და დიადი მცნება მაცხოვრისა ქვეყნის საკეთილდღეოთ განვახორციელოთ.

იშვა მაცხოვარი—იშვა ნათელი, ჭეშმარიტი და სიყვარული.

## მ ი ი მ ა ლ ე თ!..

ფარისეველნო! ხომ კი ჩაქვდა უბეში გველი!
აწ მიიმალეთ!—იშვა ქვეყნათ ნაზარეველი...
თქვენს არსებობას შეუქროლა მწუხრის ნიავმა,
ბნელ კაბადონსა დაანათა ძლევის ვარსკვლავმა...
ხედავთ, იროდეს გული ტკივა, რაღაც აკვნესებს,
მომავალ გმირს კი მარიამი უმღერის ლექსებს...
ფარისეველნო! დროა, შეწყდეს თქვენი განგაში:
ის ახლავე თხზავს ბრძოლის ჰიმნებს პაწა ბაგაში...

***

დაიბადა... მისი სიტყვა
სვე-უბედურს ცრემლს გადაბანს,
და, ვითარცა კაცი, ოხვრით
გოლგოთაზე ჯვარს აიტანს...
დაიბადა... ძირს დაამხობს
ოქროს კერპებს, ბოროტ ღმერთებს,
ცასთან ცოდვილ დედა-მიწას შეათანხმებს, შეაერთებს...

***

ფარისეველნო! ხომ დამკვიდრდა სასუფეველი!
მაშ მიიმალეთ! დაიბადა ნაზარეველი!..

მ. ელზაშვილი.

## შობა.

თეთრი თოვლის თეთრი ფიფქი
მთასა მაღალს დასტრიალობს,
ხტის და
ქრება,
თრთის და
დნება,
მიდვრის კალთებს ეფინება!
ცელქი წყარო მთიდან თოვლ-ქვეშ
ნაზათ მოხტის, მოკრიალობს:

ხევის პირათ შავ კუნჭულში
აიმართა ნათლის სვეტი...
სოფლისათვის ჯერ უცნობი,
უხილავი და უჭვრეტი!

ანგელოზთა გუნდი მღერის:
„ოსანა მაღალთა შინა!
ღმერთად სცანით, ვინც უფალმა
ქვეყნის მხსნელათ მოავლინა“!

გაქრა კვნესა, მოკვდა სევდა,
იშვა აზრი სულ ახალი...
დაითესა მცნება წმინდა,—
და იხარებს აწ მაშვრალი.

თეთრი თოვლის თეთრი ფიფქი
მთასა მაღალს დასტრიალობს,
და თან წყარო, ცელქი წყარო
თოვლ-ქვეშ მოხტის, მოკრიალობს!

ლადო გეგეჭკორი.

## „ლუკა პეტროვიჩი“

ლუკა პეტროვიჩს დიდი ხნის მოლოდინი აუსრულდა და რომელიღაც „სოვეტნიკობა“ მიიღო. ეს იშვიათი და ბედნიერი მოვლენა შეუმჩნეველი დარჩა მხოლოდ მის გაცვეთილ პალტოს, თვარა ისე იცოცხლეთ, მთელი კანცელარია, სადაც ლუკა პეტროვიჩი მსახურობდა, ფეხზე დადგა, ხუმრობა საქმე ხომ არაა!—ეს გახლავთ პირმშო ოცდა ათი წლის ნალვაწისა!.. აი, ამდენი ხანია, რაც იგი წელში მოკეცილი, თავ-ჩაქინდრული და თვალებ-გაწყალებული აჭრელებს და ჩაკირკიტობს „კნილა ვხოდიაშჩის ბუმაგ“-ის ფურცლებს!.. ოცდაათი წელიწადია, რაც ლუკა დაუღალავათ მუშაობს ამ ასპარეზზე და ჩინებული მოხელეცაა! ამ ოცდაათი წლის წინათ, ლუკა პეტროვიჩმა ხომ სასულიერო სასწავლებელი დაასრულა, განსაკუთრებით ყოფაქცევასა და წერაში სულ ხუთიანი გამოყვა! წერის მასწავლებელი დიდი მადლიერი იყო ლუკასი. „შესანიშნავი პოჩერკი აქვს და ჩინებული მწერალიც გამოვაო“, იტყოდა ხოლმე წერის მასწავლებელი ლუკას შესახებ. მართალიც იყო: ლუკა როდი სწერდა, პირდაპირ ხატავდა!

ლუკა ფრიად გამრჯელი და მუყაითი კაცი იყო, კრავივით უწყინარი, გუგულივით უმანკო და თევზივით უთქმელი. მისი ამბავი რომ იცოდენ, თანამოსამსახურეები ხშირათ უსადილოთაც სტოვებდენ: გადასცემდენ თავის სამუშაოს და მუყაითი ლუკაც, სანამ არ დაასრულებდა, კანცელარიიდან ფეხსაც არ მოიცვლიდა. ამის გამო ლუკას ხშირათ სადილი ვახშმათ გადაქცევია, მაგრამ ის ამ დროს განსაკუთრებულ კმაყოფილებას გრძნობდა: ამხანაგური მოვალეობა მოვიხადეო. მისი ამხანაგებიც, რასაკვირველია, თავის მოვალეობას ლუკას მიმართ სადმე ნუნუას ჭაშნიკობაში ან ბანქობაში იხდიდენ ჩვეულებრივ. ამისთანა სისუსტეს ლუკა ყოველთვის სულგრძელათ აპატიებდა მათ:

— რა ვუყოთ, ადამიანები არიან და ყველას ერთნაირათ ხომ არ შეუძლია თავის დაჭერაო?..

ამ დროს მას—ჩვენ შორის ითქვას და—თავი ზე-კაცათ მოქონდა! ეს კია, რომ მისი ზე-კაცობა კანცელარიაში არავის სჯეროდა, თვარა უფროსი განა ამდენხანს ვერ შეამჩნევდა?!. რა სათქმელია?.. ბევრს იმავე კანცელარიაში ლუკას მეხუთედი ხანიც არ უმსახურია, მაგრამ ზოგმა სეკრეტრობა მიიღო, ზოგმა—ბოქაულობა, ზოგმა რა და ზოგმა რა! ლუკა კი ზის და ზის ერთ ადგილს თავჩაქინდრული, „კნიგებში“ ცხვირ-ჩარგული და შესაფერი ავეთმყოფობითაც დაჯილდოებული!..

— რას მერჩიან, ვის რა დავუშავე, რომ აქ დამაკვერეს აღარ მაშორებენო?—გაუელვებდა ხანდახან თავში, თვარა სიტყვით ასეთი უკმაყოფილების გამომხატავ მწვალებლობას როგორ იტყოდა?!.

იფიქრა ლუკამ და გადაწყვიტა,—როგორმე სხვა გზით მოეგო უფროსის გული და დაემსახურებია მისი ყურადღება. ეს გზა, როგორც მას ყურიც მოეკრა, უკვე ნაცადი იყო თურმე სხვებისაგან, და რომ ახალი რამ არაფერი შეუქმნია ასლუკას ამ შემთხვევაში.

— ბეჯითობა და ერთგულობა არ გამივიდა და—ჯანი გავარდეს—ამასაც ვცდიო,—სთქვა ლუკამ: როგორც კი ღმერთი ინებებს და ჩემი ცოლი ბუნთულა ვაჟით დამაჯილდოვებს, უეჭველათ „სეკლატარსა“ და მისი „პომოშნიკის“ მეუღლეს უნდა მოვანათვლინოვო. უფროსს პირდაპირ ვერ გავუბედავ, „სეკლატარი“ კი მასთან დაახლოვებული კაცია და ის წარმადგენსო.

დიდხანს ატარა ეს აზრი ლუკამ, ბევრი იფიქრა ამაზე, ყოველი მხრით განიხილა და, რომ დარწმუნდა, აქ საწინააღმდეგო არაფერიაო, ცოლს გაუმჟღავნა. ლუკა ძლიერ ფრთხილი კაციც იყო: „ვინ იცის, ჯერ სხვას არა ეთქმის რა, კაცს ბევრი მტერი ყავსო“... დედაკაცს ეს აზრი ძლიერ მოეწონა და თუმცა ბავში ჯერ არც კი დაბადებულიყო, მაგრამ ნათლობის თავდარიგს ახლავე შეუდგენ.—ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: იმდენი „ჩინონიკობა“ იქნებოდა და „მოსკუპოებული“ საქმე როგორ ივარგებდა?.. მაგრამ საიდან, რომელი წყაროდან შეენახათ საამისო ფული?—ჯამაგირის ამბავი ლუკამ კარგათ იცოდა! ვა-[illegible] და? ლუკას ქონდა კიდევ ერთი წყარო, რომელსაც ის ძლიერ უფრთხილდებოდა ამ ბოლო დროს; მაგრამ სეკრეტრის ნათ[illegible] მოკიდეობის აზრმა და ამ გზით დაწინაურებაზე ოცნებამ ისე გაიტაცა, რომ შეიპყრო, რომ ლუკას ცნობილი თქმულება გაახსენდა: „ჩემი ოქრო—ჩემივე საჭიროებისთვისო“. ლუკას ამის მოგონებამ სახე გაუბრწყინა, კაცი წელში გაიმართა და იმედი მიეცა.

ლუკას მამა-პაპისეული კარგა ბლომათ სახნავ-სათესი ქონდა სოფელში. ჩინებული მიწა იყო და მუშა კაცს შეეძლო კარგი მოსავალიც მიეღო აქიდან. მაგრამ ლუკასთვის, აბა, რა განძი იყო ეს ადგილები? სოფლის მუშათ ის ვეღარ გამოდგებოდა და აღარც იკადრებდა! აილო და მეტი ნაწილი ამ ადგილებისა ადრევე მოიშორა თავიდან. ამ ფულით პატარა ეზო და სახლი შეიძინა ქალაქში და საკუთარი ბინა მაინც გაიჩინა!.. სოფელში კიდევ ქონდა ორიოდე კვალი მიწა და ამას კი აღარ ელოდა და რომელიმე საჭიროებისთვის ინახავდა. და, აბა, დღევანდელი მისი გადაწყვეტილება განა საჭიროებას არ შეიცავდა? სხვა საშვალება არსაიდან სჩანდა, დახმარებას არავისგან ელოდა და, აბა, რა ექნა? მერე ამ ადგილის გაყიდვა არც თუ საზარალო იყო ლუკასთვის:—ადგილს გავყიდი, სამაგიეროთ კაი მოყვარეს შევიძენ; კაი მოყვარე კარგათ წამადგენს, სადაც ადგილია; კარგი მოყვრისაგან კარგ წადგენას კარგი შედეგიც მოყვება და განა ეს წასაგები საქმეაო?—ფიქრობდა ლუკა.

ადგილის მუშტარი, მადლობა ღმერთს, საძებარი არ იყო: ის თვითონ აქეთ მოვიდა, ფული მიუთვალა და ნაყიდობა შეისრულა.

ამასობაში ლუკას ვაჟიც შეეძინა; ღვთით საქმე გაიჩარხა, ბედმა მისკენ პირი იბრუნა და სულ წალმა დატრიალდა მისი საქმე. დიდებული ნათვლა გადაიხადა ლუკამ, განგებ მოსაწვევი ბარათებიც დაბეჭდვია ზედ წარწერით: „კანცელიარსკი ჩინონიკ ლუკა პეტროვიჩიო“ და ზედ რუსული დაბოლოვებით ქართული გვარიც იყო მიწერილი.

კანცელარიაში დიდხანს ქონდათ სალაპარაკოთ ეს ნათვლა. განსაკუთრებით აქებდენ ნათლიმამის ღვინოსა და ნათლიდედის ხაჭაპურებს. გონიოსავით მოკეცილ ლუკას ყოველი ასეთი მუსაიფის დროს კალამი გაუჩერდებოდა და თუმცა „კნიგას“ თვალებს არ აშორებდა, გულისყური კი იქითკენ ქონდა მიპყრობილი, საიდანაც მისი პურღვინის ქება ისმოდა. ბედნიერი ლუკა ჩუმათ ულვაშებში იღიმებოდა.

***

ლუკამ რომ „სოვეტნიკობა“ მიიღო, არ ვიცი, ნათლია—„სეკლატარის“ წარდგენით მოხთა ეს ამბავი, თუ უფროსსაც შერცხვა ბოლოს და გადმოხედა ზევიდან; ეს კია. რომ ოცდაათი წლის ნამსახურს უკვე ჭაღარა მორეულ ლუკას ეღირსა ეს წყალობა და მასთან ჯამაგირიც გაუდიდეს 30 მანეთამდი. აი, როდის ასრულდა ლუკას ანგარიში და წინასწარმეტყველება!... ასრულდა და აგრე?... უკვე ხანში შესული კაცი გაყმაწვილდა, გაჭაბუკდა და ახალი გამოშვებული კვიცივით კუნტრუშსაც კი დაიწყებდა, დაქარიანებული ფეხების იმედი რომ ქონდა.

— მოგვილოცავს, ლუკა პეტროვიჩ, მოგვილოცავს!.. გაისმოდა ყოველი მხრით. ლუკას წარმოდგენით ამ მილოცვაზე ყველას მდაბლათ მადლობას მოახსენებდა და სამაგიეროთ ასეთსავე ბედნიერებას უსურვებდა მათ.—ზოგიერთები მილოცვაში მისი პურღვინის გემოს ახსენებდნენ. ლუკამ კარგათ იცოდა, რას ნიშნავდა ეს პურ-ღვინის ქება.

— დედა კაცი, დიდი და პატარა ქუჩაში, თუ კანცელარიაში, მილოცვას ამ ამ ბედნიერებას და როგორ მივიქცეთ? ერთი კაი სადილი უნდა გავუმართოთ იმათ.

— სადილი კი არა—ვახშამი იციენ ამისთანა შემთხვევაში! დაბერდი კაცი და ეს აღარ იცი?—გაუსწორა ცოლმა.

— მე ამ სიბერეში მომივიდა ეს წყალობა და საიდან მეცოდინებოდა? ადრე ეწყალობებიათ, მეც ვისწავლიდი, გავიწრთვნიებოდი და აღარ შემეშლებოდავო, ჩაიღიმა ლუკამ.

მთელი კვირის განმავლობაში ცოლქმარი იმის რჩევაში იყვენ, თუ როგორ გამასპინძლებოდენ სტუმრებს.

***

დეკემბრის ოცს სხვებთან ერთად ლუკამაც მიიღო თავისი ხვედრი. კანცელარია საერთო მხიარულებამ მეცივა. ყველა ოხუნჯობის გუნებაზე მოსულიყო. წუთით მაინც ყველას დავიწყებოდა დღიური ცხოვრების ვარამი და გულზე ჟანგ-გადაფერილი ყოველ მარილიან ოხუნჯობაზე მადიანათ იცინოდენ. ასე გასინჯეთ, მუდამ თავჩაღუნული და მდუმარე ლუკაც კი გამოეხმაურა ამხანაგებს.

— ჰაა, შენთანა ვართ, შენთან! არ შეგაწევთ, იცოდე, ვახშამს, არ შეგაწევთ!

— რომ შემაწიოთ, განა კი შევიწევ? თავ-ადებით სთქვა ლუკამ: შაბათ საღამოს ყველას გთხოვთ გახშმათ, იმედია მობრძანდებით.

— ერთიც არავინ დავაკლდებით, იცოდე! ცარიელი სიტყვით მილოცვა რა არი? ერთი ჩვენებურათაც უნდა გაკურთხოთ! რას იტყვი, ლუკა, ჰა?

— მააშ, მააა!..

ამ დღეს ზოგი მოხელე ეტლით წავიდა შინ. ლუკა ჩვეულებისამებრ ერთხანს კიდევ ჩაკირკიტებდა წიგნებ. ერთხელ კიდევ გადაფურცლა, გადაათვალიერა—ცუდათ არაფერი იყოს, და შეინახა უჯ-

26 დეკემბერს ქუთაისის საზოგადო საკრებულოში დანიშნულია

# ბავშვების შოვბის ხე (იოლკა)

დასაწყისი საღამოს 5 საათზე

28 დეკემბერს ამავე საკრებულოში დანიშნულია

# მოწაფეებისათვის საღამო

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

# დ ღ ი უ რ ი

— ოსმალეთის დელეგატებმა ოსმალეთ-ბულგარეთის საზღვრის შესახებ კონფერენციაში წინადადება შეიტანეს.

— კრიტეს, ადრიანოპოლისა და ეგეის კუნძულების შესახებ მოკავშირე დელეგატებმა ულტიმატუმი წარადგინეს. თუ ოსმალეთი განსაზღრულ ვადაში გარკვეულ პასუხს არ მისცემს, მოლაპარაკება შეწყდება.

— სკუტარიდან ოსმალებმა ხელახლათ განიზრახეს ბლყათ შემოკრულებზე თავდასხმა, მაგრამ უკუაქციეს.

— დიდ სახელმწიფოებს განუზრახავთ მშვიდობიანობის სასარგებლოთ მოლაპარაკებაში ჩაერიონ.

— როგორც იტალიელი გაზეთები იუწყებიან, ნეაპოლში ჯარები შეკრიბეს, რათა ალბანეთში გაგზავნონ.

— ავსტრიელებმა მდინ. დუნაიზე სერბიის გემებს სროლა დაუწყეს.

— ავსტრიის მთავრობა სამთო არტილერიის გაძლიერებას შეუდგა. თითო პოლკს თითო ბატარეიით აძლიერებენ.

— ხმებია, კასო, სუხომლინოვი და საბლერი სამსახურიდან გადიანო.

— ხარკოვში ავაზაკობისათვის ხუთი კაცი ჩამოახრჩვეს.

— ნიუ-იორკში 100,000 თერძი გაიფიცა.

— მოკავშირე სახელმწიფოებს შორის სრული სოლიდარობა არსებობს და ბულგარეთი არაფრის გულისთვის ოსმალეთთან ცალკე მოლაპარაკებაზე არ დასთანხმდება.

— საბერძნეთმა პარიზში 40,000,000 ფრანკი ისესხა.

## გამოსათხოვარი უსტარი.

მ. წ—ისას.

მე მივდივარ... წაველ კიდეც... შენც დაგშორდი, ჩემო კარგო,
მაგრამ მინდა ჩემის რითმით ერთხელ კიდევ შემოგქარგო?..
მინდა კიდევ გულის ვარდი გულის ცრემლით ერთად ვნამოთ
და მერე კი დაგშორდები, დაგშორდები სამუდამოთ!..

მაგრამ, ტურფავ, თუ მზემ ჩემზე
საიდუმლო გაგიმჟღავნა,—
იცოდე, რომ შენთან ის მზე
მგოსნის მუზამ გამოგზავნა!..

ან თუ შეგხვდეს დილის ცვარი,
ბაღში ვარდზე დანაცემი,—
იცოდე, რომ იგი არი
უიმედო ცრემლი ჩემი!..

ან თუ სიომ, მიმზიდველი
მკერდის ხალი გაგიგრილა—
იცოდე, რომ ტრფობა ძველი
გულში კიდევ ჩარჩენილა!..

მე მივდივარ... წაველ კიდეც... შენც დაგშორდი, ჩემო კარგო,
მაგრამ მინდა ჩემს ხსოვნაში სამუდამოთ დაიკარგო!..
და თუ მოვკვდე უცხო მხარეს—ამასა გთხოვ, გთხოვ მწუხარე,
თუ ცოცხალი არ გიყვარდი, მკვდარი მაინც შემიყვარე!..

ი. გრიშაშვილი.

ამიტომ მისი სიტყვა არ არის მთლიანი, შუაზეა გაწყვეტილი, უბრალო შეუმუშავებელ მასალას წარმოადგენს...

მართალია, ა. ჩხენკელი გვპირდება, როდესაც რუსეთი თავისუფალი იქნება, თითოეული ერი მიიღებს შესაფერ უფლებათ და დაწესებულებათო, მაგრამ არ აღნიშნავს და არ განმარტავს, როგორი იქნება ეს დაწესებულებანი. ის რომ ამბობს, სოციალდემოკრატია მოითხოვს იმისთანა დაწესებულებათ, რომ თითოეული ერის თავისუფალი გავითარება არ ფერხდებოდესო, თითოეულ ერს თვითგამორკვევის უფლება უნდა ქონდესო დახ. ამგვარი ბუნდოვანი, გამოურკვეველი თქმა ორპირობაა, ფარისევლობაა, ღალატია დემოკრატიის წინაშე! დემოკრატიას, სოციალდემოკრატია იქნება ის, თუ სხვაკრატია, დასამალავი არაფერი უნდა ქონდეს: პირდაპირ, მოურიდებლათ, უშიშრათ უნდა აღიარებდეს თავის გულისთქმას!

ვფიქრობ, რომ ა. ჩხენკელს შერცხვა და ვერ გაბედა საჯაროთ ეთქვა, რაც გულში ქონდა. აქ ჩვენ არ გვერიდებიან და ურცხვათ გვეუბნებიან პირში, „არ გვინდა ავტონომიაო", იქ კი უცხო ხალხის წინაშე საჯაროთ ამისთანა სისულელის თქმა თავის მოჭრა იქნებოდა! თუმცა, რასაკვირველია, მიკიბულ-მოკიბული გზით მაინც უარყოფილ იქნა ეს მათი „საფთხობელა", ავტონომია.

მხოლოდ ეს მაკვირვებს: სად-ღაა ის მინიმუმი პროგრამის მინიმუმი, რომელსაც ამ რამდენიმე თვის წინათ „დასელთა" ბელადი გვპირდებოდა. ის ამბობდა: „ავტონომია არ გვინდა, მაგრამ დედაენაზე სწავლება საშვალო სასწავლებელში და ქართული უნივერსიტეტი კი უთუოდ უნდა მოითხოვოს ჩვენმა დეპუტატმაო. და ამგვარი მოთხოვნის შეტანა მხოლოდ დეკლარაციის საპასუხო სიტყვაში შეიძლებოდა. რატომ არ აასრულეს დაპირება?!

მაგრამ ან კი რა საკითხავია! განა არ ვიცით, ვინც ბძანდებიან?! ტყვილა ირტყამს გულში ხელს ა. ჩხენკელი და გვეფიცება, ქართველი ერის უფლებათ ვიცავო, და ის „დასი", რომელიც თავისი ერის ავტონომიას უარყოფს, ღირსი არ არის დემოკრატიის სახელს ატარებდეს. და „დასელები" ამ თავის დიდს ისტორიულ ცოდვას, თავისი ერის წინაშე ღალატს, ვერაფრით ვერ გამოისყიდიან!

ურო.

# ახალი ამბავი.

შაბათს ღამით გარდაიცვალა ის ბოქაული მარქაროვიც, რომელიც ამ წინაზე ავაზაკების თარეშობის დროს დაიჭრა და რომლის მორჩენის იმედი ცოტათ მაინც ქონდათ აქიმებს. მარქაროვს წვრილი ცოლშვილი დარჩა.

✦ მევენახეებისა და მეღვინეობის ქუთ. გუბერნიის კომიტეტის თავჯდომარემ აცნობა ბათომის სასოფ. სამეურნეო საზოგადოებას, რომ სოხუმსა და ბათომს საჭიროა თითო აგენტი დაინიშნოს ნავსადგურებისათვის; ამ აგენტებმა უნდა თვალყური ადევნონ გარდა სოხუმისა და

რაში. ზანტათ წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, თითქო კანცელარიიდან წასვლა ენანებათ, მაგრამ მეტი ჯანი არ იყო, უნდა წასულიყო, სამუშავო უკვე გათავებული ქონდა და ზედმეტი არავის დაუვალებია, თვარა დაბინდებამდი ხომ არ მოშორდებოდა იქაურობას. ოცდაათი წელიწადი განა ხუმრობაა, რომ კაცი ასე ადვილათ გაეყაროს ამ ხნის განმავლობაში შეჩვეულს? ლუკასთვის ეს დროებით გაყრაც სამძიმო იყო! ამბობენ, ადამიანი ციხეში ყოფნასაც კი ისე შეეჩვევა, რომ გათავისუფლების დროს იმაზე გული დაწყდებაო.

ძიქრის,—ასე გონია, მთელი ქალაქი თვალებით ქცეულა და შემომჩერებიაო. საჩქაროთ ჩაუქროლა მეფართლე ურიის დუქანს და პირი მეორე მხრით იბრუნა არ დამინახოსო. ნაცნობ [illegible] ვიწრო შესახვევით მოუარა თავი. ამ ორ ხიფათს კი გადარჩა, მაგრამ გზაში ყასაბი დახვდებოდა და აქ როგორ მოქცეულიყო, აღარ იცოდა. მაგრამ ტყვილი ნათქვამი როდია: „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო"—ლუკა აეტორღიალა ვიღაც ნაბდონსანს, რომელიც ძლიერ მძიმეთ მიაბიჯებდა ქვა-ფენილზე; დალოცვილის შვილი, ბეღელივით კაცი იყო, და ნაბადში ხომ რაღა! დევივით მოჩანდა. ეს კაცი ჩინებულ საფარათ გამოადგა ლუკას და უკანასკნელმაც ოსტატურათ ისარგებლა.—როგორც იქნა, გაუსხლტა ყასაბსაც.

ლუკა პეტროვიჩი გაჭარხლებული, გაოფლიანებული და აქელებული მივიდა შინ. ცოლს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, ქმარი რომ ისეთ მდგომარეობაში დაინახა.

— დამიგე, რაღაც ცუდათა ვარ, მგონი გავცივდი... ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ამბობდა ლუკა.

ცოლმა საჩქაროთ დაუგო. ლუკა საბანში გამოეხვია, მაგრამ მოსვენება არ მიეცა. სულ იმაზე ფიქრობდა, ვაი, თუ აქეთ მომადგენ კარზე და ნისიები მომთხოვონ, მაშინ სადღა დავემალოო?!..

— ქალო, თეკლეიას უთხარი, გოგოს, თუ ვინმე მოვიდე: და მიკითხოს, შინ არ არისთქვა, უთხრას! „ნიატუ დომა" [illegible] მაინც მოქონდეს რამე, ამ დღესასწაულებში თავს შევაფარებდიო,—ოხრავდა ლუკა.

— იმე, ბეჩა, რავა უნობ მაგას? კაცს წარჩინება მოგ[illegible] ჯამაგირი მოგიმატეს და სოფელში დევიმალებოდიო, რა სათქმელია? ერთ გახშამს ემალები?.. მასე წახთა ჩემი მტერი!..

— არა, ვახშამს არ ვემალები, მარა... მაინც თუ ვინმე მოვიდეს „ნიატუთქვა", უთხარი.

ლუკა პეტროვიჩს მაჯამ მოუმატა და სიცხე მისცა. მთელი ღამე ტანჯვაში გაატარა; საშინლათ შფოთავდა, ბორგავდა იყო ერთ ვაი-ვაგლახში. წარა-მარა ელანდებოდა ნისიების დავთრებით კარზე მომდგარი ბიჭები და სულ „ნიატუ ნიატუს" გაიძახოდა. საწყალი მისი დედაკაცი ერთ გასაჭირში ჩავარდა... ბედათ, გათენებისას ლუკა პეტროვიჩს წაეძინა, ოფლი დაასხა და მეორე დღეს, რომ ცოლს გაეშვა, სამსახურშიც კი აპირობდა წასვლას. ბედათვეარც დავთრებით მოდგომია ჯერ ვინმე.—ალბათ, მაგრე რიგათ არ უჭირთო, იფიქრა ლუკამ: ისინი ვაჭრები არიან, ყოველდღე ფულებში ურევენ ხელს, ოქრო-ვერცხლში არიან ჩაფლული, ჩვენსავით როდი უჭირთ ცხოვრება თვიდან თვემდი!.. შეხედეთ ერთი იმათ დედაკაცებს, როგორი ჯილა ქუდები ახურავთ თავზე და როგორ დასუქებული არიან კაი შენახულობით!.. ჰო და ასეა—ვაჭრები მდიდარი ხალხია! რაღაც ორიოდე მანეთი ნისია რა სათქმელია?—ან რას დააკლებს, ან რას შემატებს მათს ჯიბეს!.. ამისთანავე კარგათ იციან, რომ ჩემთან არაფერი დაეკარგებათ და მიტომაც არ მაწუხებენ...

შობის წინ დღეს ლუკამ ძველი ნამსახური პალტო ჩაიცვა, კისერზე ჩაბალახი მოიხვია და საშობო ღორის საყიდლათ წავიდა.

— დიდ ღორს ნუ იყიდი, ასე ერთი წლის ბურაკი იყოს,—დაუბარა ცოლმა.

ლუკა სრულიად დამშვიდებული მიდის და სანოვაგეს ათვალიერებს. ამდროს ვიღაც [illegible] „[illegible]— მობძანდითო." ლუკამ მოიხედა და არიამა: მის წინ ნაცნობი ყასბის ბიჭი იდგა.

— რა გაეწყობაო?—ითიქრა ლუკამ, [illegible] იმ კაცს, თავის დროზე რომ არ მიუტანე, იმაშიც დამნაშავე ვარო. ლუკამ ყასაბი და მეპურეც გაისტუმრა; მეფართლე ურიამ კი უთხრა:—შენი თავი კარგათ მყავს, ლუკა პეტროვიჩ, და საქონელი კიდო მიირთვი, რამდენიც გნებავსო.—

ლუკამ ღორი და სხვა საშობო სანოვაგე იყიდა, ზოგი ნისიაც გაისტუმრა და ჯიბეში იმდენი დარჩა, რომ მორე თვემდი ძლივს მიიტანდა სულს.

შაბათს საღამოს „ჩინონიკებით" სავსე ეტლი გაჩერდა ლუკას ჭიშკარზე. ნათლია „სეკლეტარმა" დიდხანს ურახუნა და უძახა: „ლუკა პეტროვიჩ, ლუკა პეტროვიჩო!" მაგრამ ხმა არავინ გასცა. სახლში სანთელიც კი ზაექროთ. მხოლოდ ღამის სიბნელეში თეკლეია გოგომ ეზოდან მიაძახა სტუმრებს დაზეპირებული: „ნიეტუ დომაო."

დ. თომაშვილი.

## ვარლამ გელოვანი და აკაკი ჩხენკელი, როგორც დეპუტატები.

თითეულ მათგანს ახასიათებს სიტყვა თქმული მინისტრის დეკლარაციის საპასუხოთ.

ვარლამ გელოვანი უწოდებს თავისთავს საქართველოს წარმომადგენელს.

აკაკი ჩხენკელი კი ლაპარაკობს, როგორც რუსეთის მუშათა სოციალდემოკრატიული პარტიის წევრი.

ვარლამ გელოვანს აქვს მთლიანი ეროვნული პროგრამა, რომლისაგანაც იბადება თითოეული მისი ეროვნული მოთხოვნილება.

აკაკი ჩხენკელი, მართალია, უარყოფს და გმობს მთავრობის ეროვნულ პოლიტიკას, მაგრამ საკუთარი ეროვნული იდეალი არ აქვს.

ვარლამ გელოვანს არ მოსწონს არსებული, მაგრამ ითვალისწინებს და გულისხმობს ქართველი ერის მოსალოდნელ მდგომარეობას. მის სიტყვაში შემოქმედება სჭარბობს კრიტიკას.

აკაკი ჩხენკელი ვერა სჭვრიტს მომავალს, მის სიტყვაში [illegible] მხოლოდ აწმყოს უარყოფა ჩანს. ამიტომ ბრჭყიალა საფერავები სჭირდება, რომ ნათლად დაასურათოს სინამდვილე და მოახთინოს ჩაბექდილება, თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ ის ამ მხრითაც ვერ აწევს მიზანს.

ვარლამ გელოვანი კი არსებული მდგომარეობის წვრილმან მხარეებს არ ჩაკირკიტებს, არამედ მოკლეთ აღნიშნავს, რადგან მისი მთავარი მიზანია გამოსახოს ჩვენი ეროვნული იდეალი.

აკაკი ჩხენკელის მიერ ფაქტების აღნიშვნა უმნიშვნელო და უშედეგოა, რადგან ამ ფაქტებიდან შესაფერი დასკვნა არ გამოიყვანა. რა საჭირო იყო, მაგალითად, „ტრაკტატის" ხსენება, თუ კი იმავე დროს ქართველი რადიკალების ეროვნულ პროგრამას, ე. ი. ავტონომიას, უარყოფდა?!

# სახელმწიფო სათათბირო.

13 დეკემბრის სხდომა.

**თავ. ვოლკონსკი** თავჯდომარეობს. კითხულობენ სათათბიროში შეტანილ საქმეების სიას, მათ შორის ოქტომბრისტთა საკანონმდებლო მოსაზრებას საეროზო ხმოსანთა არჩევნების შეცვლის თაობაზე.

**ლიუცის** წინადადების თანახმად, დაამტკიცეს არჩევნები ვოლოგდის გუბერნიის სამი დეპუტატისა.

**ვარლამ გელოვანის სიტყვა (მინისტრთა თავჯდომარის დეკლარაციის საპასუხოთ.)**

ბ.ბ. წევრნო სახელმწიფო სათათბიროისა!,

პატარა ქვეყანამ, რომელმაც მე აქ გამოგზავნა, დამავალა მონაწილეობა მივიღო სრულიად რუსეთის საკანონმდებლო მუშაობაში და ქართველი ხალხის ჭირვარამის გამომხატველი ვიყო. მოვისმინე მინისტრთა თავჯდომარის სიტყვა, მაგრამ სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ მის სიტყვაში მიუტოვებელი უყურადღებობა სჩანს საზოგადოთ კავკასიისა და კერძოთ ქართველების საჭიროებისადმი. მთელი ასი წელიწადია, რუსის ბიუროკრატია ამ გვარ პოლიტიკას ეწევა კავკასიაში. მე, როგორც ქართველი ხალხის წარმომადგენელი, ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავს მინისტრთა თავჯდომარის დეკლარაციას შემდეგი პასუხი გავცე.

საქართველო რუსეთის იმპერიის ერთი ნაწილთაგანია და ჩემის ღრმა რწმენით კვლავაც ამ ნაწილათვე დარჩება. და ყოველივე ეს არამარტო პოლიტიკური მოსაზრებითაა გამოწვეული, არამედ იმითაც, რომ ქართველი ხალხის გულში რუსის მეცნიერებისა, ლიტერატურისა, ინტელიგენციისა და ხალხის მიმართ სიყვარული ღვივის. და რამდენიც არ უნდა იყვირონ მემარჯვენეთა უბნიდან, ქართველი ხალხის სეპარატიულ მიდრეკილებაზე, მე თამამათ, ყოველი ჩემი სიტყვისთვის პასუხისგებით, ვაცხადებ, რომ ეგ გველის სისინია, რაც, რა თქმა უნდა, გველისვე სიბრძნეს მოკლებულია. ამ გვარ აზრს ავრცელებენ ისინი, ვისაც თანაბრათ არ უყვართ როგორც არა-რუსნი, აგრეთვე არც თვით რუსის ხალხი (ტაშის ცემა და ხმა მარცხნით ვაშა! თავჯდომარის ზარის რეკა). ჩვენ ქართველები, როგორც რუსეთის მოქალაქენი, დემოკრატიასთან ერთად ხელჩაკიდებული, მიზნათ პოლიტიკური თავისუფლების დამყარებას ვისახავთ· ჩვენი მიზანია პიროვნების გათავისუფლება და ამავე დროს, ცხადია, დავიწყებული არ უნდა იყოს, რომ ქართველებს გვაქვს თავისებური ისტორია, კულტურა ზნე-ჩვეულება. ქართველ ხალხს თავისებური საპოლიტიკო-საზოგადოებრივი საჭიროება მისწრაფება აქვს. ეს სახელმწიფოებრივი ცვლილება და განახლება, სითაც დღეს ყველა მივილტვით სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა ფორმით განხორციელდება... თუ ყოველი მოქალაქისათვის მიუდგომელი სამსჯავრო აუცილებელია, არა ნაკლებათ აუცილებელია, რომ ამ სამსჯავროში ქართველთათვის გასაგებ ენაზე იქნეს საქმის წარმოება. შკოლის დამოუკიდებლობა და თავისუფლება მიუცილებელი ფაქტია... მაგრამ შკოლის თავისუფლება თავის მნიშვნელობას კარგავს, თუ შკოლაში მოწაფეების გასაგებ ენაზე სწავლა-აღზდის საქმე უზრუნველ ყოფილი არ არის. წარმოვიდგინოთ, რუსეთში ბეჭდვითი სიტყვისა, კრებისა და კავშირების თავისუფლება დამყარდა. ჩვენ ქართველები დაკმაყოფილებული არ ვიქნებით, თუ ეს თავისუფლება არ მოგვენიჭა მწერლობაში, კრებებზე და სხვადასხვა... რამდენიმე მაგალითი მოვიყვანე იმ აზრის დასასურათებლათ, რომ ამ გვარ ქვეყანაში, როგორც რუსეთია ყოველ პოლიტიკურ თავისუფლებას, ყოველსავე სახელმწიფოებრივი ფორმის განახლებას რთული ხასიათი უნდა მიეცეს, თუ გვინდა—ჩვენი სახელმწიფოს რეფორმები რეალურ საფუძველზე დავამყაროთ. ქართველებისთვის იმდენათ საგულისხმო და დასაფასებელი იქნება რუსეთში მომხდარი ცვლილება, რამდენათაც ეს ცვლილება ჩვენს აუცილებელ საჭიროებათ შეეხება და ჩვენი ერის ტკივილებს მალამოთ დაედება. ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავს განვაცხადო, რომ ქართველებს რუსის ინტელიგენციასთან და მით უმეტეს რუსის ხალხთან არსებითად არავითარი პოლიტიკური ანგარიშები არ აქვს გასასწორებელი. ხოლო, უნდა აღვიაროთ—რუსეთის ბიუროკრატიამ კი დაგვსაჯა ისტორიულათ და პოლიტიკურათ. სწორეთ ამ ბიუროკრატიამ მიიყვანა ჩვენი ტურფა ქვეყანა დაღუპვამდი. ას წელიწადზე მეტია, რაც საქართველო თავის ნებით შეუერთდა ერთ მორწმუნე რუსეთს, ამით ხელი შეუწყო ამიერ კავკასიაში რუსთა დამკვიდრებას.

როცა საქართველო რუსეთს განსაზღრული აქტის ძალით შეუერთდა, იგი დარწმუნებული იყო—რუსეთის ბიუროკრატია კეთილსინიდისერებას გამოიჩენდა, მაგრამ, სამწუხაროთ, რუსის ბიუროკრატიამ თავის პირველისავე ნაბიჯით დაგვარწმუნა, რომ საშინლათ მოვტყუვდით. პირველი დღიდანვე, შემოსვლისთანავე მან დაარღვია დადგენილი ხელშეკრულობა და მოქმედობდა, არა როგორც მფარველი, არამედ როგორც დამპყრობელი და საქართველოს დაუძინებელი მტერი. ას წელიწადზე მეტია, რაც რუსეთის მთავრობა ქართველი ხალხის წარმომადგენლების ჩაურევლათ, უკანტროლოთ განაგებს ჩვენს ქვეყანას. მათი გამგეობის ნაყოფს ყველა ვხედავთ. ვხედავთ, სადამდი მიდის მათი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა. დღითი დღე ვრწმუნდებით, რა სამწუხარო მდგომარეობამდიც მიიყვანა რუსეთის ბიუროკრატიამ ის ქვეყანა, რომელიც მას მიენდო, თავისი ბედი და უბედობა ჩააბარა... დაცემა, აუწერელი სიღარიბე—აი, რით დახასიათდება გაჭირვებული საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა. საზოგადოების ერთ ნაწილს ვერ მოიძიებთ, რომ სანუგეშო პირი ქონდეს. გლეხი, მუშა, სამღვდელოება და ოდესმე აპეკის ქვეშ მყოფი აზნაურობა—ყველა ერთად ბიუროკრატიის კლანჭებში კვნესის. მართალია, ბიუროკრატიის დევნას ყველა ერთნაირად არ განიცდის. დამახინჯე-

ბათომის ნავსადგურებისა ოჩამჩირეს, ახალ ათონსა და გუდაუთსაც.

✦ ყოველ შობა-ახალ-წლის წინათ აუარებელი ,,საშობისხეო'' ხეები ჩამოაქვთ ქუთაისში. უწყალოთ, ულვთოდ ანადგურებენ ძვირფას ტყეს და კაცი პატრონი არ გაჩენია, რომ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას. რამდენი ამ ხეებისა რჩება ქალაქის მაიდანზე ნადლესასწაულებს გაუყიდავი და ოხრდება.

✦ ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოებამ და ქალაქის საბჭომ შაბათს, 22 დეკემბერს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ 300 მან. დაურიგა.

✦ რედაქცია აცხადებს, რომ ,,ფოთის ამბების'' ავტორი ბ. ლადო გეგეჭკორი არაა.

✦ საფიჩხიის მიდამოს მცხოვრებნი გოდებენ ცუდი გზების გამო საფიჩხიის ეკლესიიდან ურიის სასაფლაომდი მიმავალი გზა ნამეტნავათ ერთიანად ჩაოხრებულიაო.

✦ ვ. ალ. მესხიშვილის გასტროლმა დიდ საზოგადოებას მოუყარა თავი თეატრში ,,ურიელ აკოსტა'' კარგათ წარმოადგინეს, საყვარელ მსახიობს საზოგადოებამ აფრთოვანებით შეეგება.

აქვე უნდა ალვნიშნოთ რომ ნიჭიერი მსახიობის იუბილე მომავალი თებერვლის 10 არის დანიშნული.

✦ ქ. გორის ქალაქის თავად. აურჩევიათ ზ. დ. ქიტიაშვილი.

✦ მოგვივიდა ახალი გაზეთი ,,ჩვენი დროება''. პირველი ნუმერი საყურადღებოთაა შედგენილი. გაზეთი საშვალო ზომისაა, ღირს სამ კაპიკათ.

ეს გაზეთი გვაცნობებს, რომ თ. პ. თუმანიშვილს სამედიატორო სამართალში გაუწვევია თფ. დეპუტ. საკრებულო. სასამართლომ უნდა გამოიძიოს—ვინ არის მართალი იმ ბრალდებაში, რომ თითქო, როგორც მარშალმა, მან დაარღვია თავ. აზნ. ინტერესი, როცა სიღნაღ-ბაქოს რკ. გზ. კონცესია აიღო დ ეს გზა შეუერთდა კახეთისას.

✦ ამას წინათ ქუთ. საგ. სატუსაღოდან რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ადმინისტრატიული წესით გაიგზავნა ფარნა გეგელია და ვასილ შალამბერიძე. მათ ბრალდებათ გლეხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობა.

✦ დეკემბრის შუა რიცხვებში ქუთაისის ციხიდან პეტროვსკის გამასწორებელ რაზმში გაიგზავნა ცხრა ტუსაღი, რომელთაც სხვადასხვა ვადით გამასწორებელი ,,როტა'' აქვთ მისჯილი.

✦ სენატმა დაამტკიცა ზოდიკე და თომა ჩიქვილაძეების საქმე. იგინი გასამართლებული არიან პოლიტიკური ნიადაგზე. მამა ზოლიკეს ღვდლის ხარისხი უკვე იხადეს.

✦ პეტროვსკის სატუსაღოდან ქუთაისის სატუსაღოში ჩამოიყვანეს იოსებ ცხადაძე, დ. წოწერია და ანდრია ბჟალავა. წოწერია გასამართლებულია გლეხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისთვის. ცხადაძე და ბჟალავა სისხლის სამართლის დებულების ძალით, ამათ სასჯელი სხვადასხვა ვადით აქვთ მისჯილი. ისინი აქიმის ცნობით ავათმყოფი აღმოჩნდენ, რისთვისაც პეტროვსკის სატუსაღოდან დააბრუნეს დ ამჟამათ მოთავსებული არიან ქუთ. სატუსაღოში.

# სურათი.

ბნელი ღამეა... წყვდიადის ფრთები
დაფარებია მწუხარე არეს;
ნისლით მოცული ატირდა მთები,
ღრუბლებში სძინავს ფერ-მიმკრთალ
მთვარეს!
საზარი ხმითა ქარი ღრიალობს,
ტყე აშრიალდა, კრთის მთა და ბარი;
სადაც გოდების დროშა ფრიალობს,
სამგლოვიარო დარეკეს ზარი!..
სამარე მღერის, დაქრის სიკვდილი,
შორს სადღაც ხევში ჩხავის ყორანი;
ნანგრევთა შორის მოსთქვამს აჩრდილი,
რომ ვეღარ გაგვყავს წყალში ბორანი!
სადა ხარ სხივო განთიადისა,
ლაჟვარდ სივრცეზე რათ არ იგზნები?!
მზევ, შემმუსვრელო ბნელ წყვდიადისა,
ცეცხლის ზღვათ როდის ამობრწყინდები?!.
ივერიისა მოსთქვამენ ძენი,
სტირის მედეა ფაზისის ნაპირს:
„ტალღათ წაიღეს წარსული დღენი,
ბედი ასრულებს აღთქმა-დანაპირს!
შავო ზღვავ! ტალღა აამქუხარე,
შენცა იგლოვე ძველი დიდება!..
დე, გლოვით ჟღერდეს ჩანგი მწუხარე,
ვიდრე ცისკარი ამობრწყინდება!“
ისმენს ფაზისი ამ მწარე მოთქმას,
ტალღა უდუნებს, შესჩივის არეს;
ხევი ბანს აძლევს ქარის საზარ ხმას,
კვლავ ნისლი ფარავს ცის თაღზე
მთვარეს!..
განთიადს ელის მკვნესარე სული,
ხვედით მღუმარებს აღთქმის ტაძარი!..
ერო, ვიდრემდი იყოს დახშული,
შენი სულისა ნავსაყუდარი?!..

აკ. ხვანი.

# სამშაბათელა.

ჩემო მკითხველო!
მოგილოცავ ქრისტეს შობას!!
კაი ბედი მოგენიჭოს...
აგაშოროს მტერი, როცა
ორჭოფულათ გაგეღრიჯოს.
სულ რო პირი ჩამოგტიროს, —
მხიარულათ გაგეკრიჭოს!
ქვეყანაზე სამართალი
უსამართლოდ არ გეღლიჭოს,
რომ სიმართლის მაძებარმა
თავში კეტი არა გშვლიჭოს;
ღარიბისთვის არა გშურდეს
თუ რამე გაქვს, მოგეკრიჭოს:—
ამისათვის ღვთის წყალობა
მაგიერი მოგენიჭოს...
მაშინ ყველა შენ გაქებდეს:—
რა კაცია,—ბიჭოს, ბიჭოს!!.

სამშაბათელა.

# ნაციონალური საკითხი.

(გრედესკულის ლექციის გამო).

ნ. ა. გრედესკულის ლექციის საგანი მეტათ საინტერესო იყო—ნაციონალური საკითხი დასავლეთსა და რუსეთში. ლექციის სახელთან ერთად ამანაც იქონია გავლენა ჩვენს საზოგადოებაზე—თეატრი სავსე იყო. გრედესკულის ლექცია ორ ნაწილათ განიყოფებოდა. თეორიულათ და პრაქტიკულათ. პირველი ნაწილი მკრთალი გამოდგა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან დღევანდლამდი ევროპის პოლიტიკური განვითარება ნაციონალურ საკითხის გარშემო ტრიალებს. ნაციონალური ბრძოლის პრაქტიკამ სხვადასხვა ქვეყნებში მრავალგვარი ხასიათი მიიღო. ახლა მისი მეცნიერული გაშუქება და ნაციონალური ბრძოლის შესაფერისი პოლიტიკის შემუშავება შესაძლებელიც და საჭიროც არის.

რაც შეეხება ნაციონალური საკითხის თეორიულად შესწავლას, უნდა აღვიაროთ, რომ მიუხედავათ მისი ასეთი დიდი მნიშვნელობისა ევროპის შინაურსა და გარეშე პოლიტიკაში, მეცნიერულათ ის სრულებით არ არის შესწავლილი. სახელმწიფო უფლებას არ მოეპოება არათუ მთლიანი თეორია ნაციონალურ საკითხზე, არამედ თვით მცნებები „ნაცია“, „ნაციონალიზმი“ არ აქვს გარკვეული და განსაზღვრული. თვითოეულ იურისტს—თეორეთიკოსს საკუთარი განმარტება აქვს ამ მცნებებისა. და მეცნიერებაშიც დღემდი ბატონობენ პოპულიარული და სრულებით დაუსაბუთებელი თეორიები ნაციის, ერის, თუ ნაციონალური ბრძოლის შესახებ.

ნაციონალური „გრძნობა“ წარმოიშვა და განვითარდა ნათესავურ „გრძნობათა“ გაფართოებისგან. საზოგადოებრივი ელემენტების სიახლოვე წარმოშობს „ალტრუიზმს“—მახლობელთა სიბრალულის, სიყვარულის გრძნობას. შორებელთა მიმართ ვითარდება საწინააღმდეგო, ეგოისტური გრძნობა. ნაციონალური „გრძნობა“ ამ გრძნობათა გაზდა, გაფართოებაა. ომები, საზოგადოებათა შორის უთანხმოებანი აცხოველებს და ზდის ამ „გრძნობასა“. საზოგადოებაში გამოჩენილი, დიდებული ადამიანნი ხშირათ ხდებიან ნაციონალური გრძნობის წარმოშობის მიზეზათ და გამაცხოველებლათ (ბისმარკის, ტოლსტოის მაგალითი). ასეთი იყო ლექციის დედა აზრი. კითხვა იბადება,—თუ ნაციონალური საკითხი ალტრუიზმის და ეგოიზმის გაფართოებაა, რატომ ძველმა ფილოსოფიამ არ წამოაყენა ეს საკითხი? ალტრუიზმისა და ეგოიზმის მცნება სავსებით იყო გარკვეული ჯერ ელლინთა ფილოსოფიაში. და თუ ნაციონალიზმის ელემენტები საზოგადოებათა ძველ ისტორიაში მოიპოვება, თვით ნაციონალური გრძნობა, თეორიულათ და პრაქტიკულათ, რათ არ იყო წამოყენებული? რაც შეეხება ,,გრძნობების'' დასახვას ნაციონალიზმის საფუძვლათ, რაც გრედესკულის ლექციის თეორეტიული ნაწილის ფუძეს შეადგენს, უნდა ვთქვათ, რომ არაა მეცნიერული. თუ სიყვარული გრძნობაა, სიძულვილი გრძნობაა, შეურაცყოფას, ღირსება გრძნობაა, და არის კიდევ ნათესაური, ნაციონალური გრძნობა და სხ.-და-სხ., მაშინ ყველა ფსიქიური მოვლენები ,,გრძნობებათ'' იქცევა. გრძნობა კი ფსიქიური ცხოვრების მხოლოთ ერთ ნაწილს შეადგენს. მას განსაკუთრებითი თვისებები აქვს. გრძნობასა და ნაციონალურ განცთათა შორის საერთო არაფერია. გრძნობა დროულია, ის წარმოიშვება და მალე ისპობა, მუდმივი არ არის. ნაციონალური განცდა კი, სუსტდება, თუ ძლიერდება, ხოლო ნორმალურ პიროვნებაში ყოველ წამს არ იცვლება და არ ისპობა. და დიდ პიროვნებათა ნაციონალური გაღმერთება—შედეგია და არა მიზეზი ნაციონალური განცდისა.

ჩვენ ვერ შევეხებით აქ უფრო ვრცლად ლექციის თეორეტულ ნაწილს. რაც შეეხება ლექციის მეორე ნაწილს, უნდა ვთქვათ, რომ აქაც არა უთქვამს რა ახალი კადეტთა ლიდერს. მათი აზრი დაბეჩავებულ ერთა შესახებ ყველასთვის ცნობილია. მათი რეალური პოლიტიკაც ყველას თვალწინ წარმოებს. არც არავის, გარდა ბეცისა, შეაქვს ეჭვი მათს პატრიოტიზმში. ხშირათ მათ შოვინისტის სახელის დამსახურებაც შეუძლია. სიმპტომატიურია მათი ლიდერების ვიზიტები რუსეთის განაპირა ქვეყნებისა: მილიუკოვის, შინგარევის, გრედესკულის ლექციები ნაციონალურ საკითხზე. არც ერთ მათგანს არ ეტყობა მეცნიერული სიყვარული ამ საგნისა, არც ერთ მათგანს არ უმუშავია ცოტაოდენი მაინც ამ საკითხის თეორიულათ გამოსაკვლევათ. ყველა ისინი იმეორებენ, არა მეცნიერულს, არამედ შაბლონიურს „обывательскую“—რუსები რომ იტყვიან, აზრს ნაციონალურ საკითხზე. ცხადია, მათი ლექციების ერთადერთ მიზანს შეადგენს, განაპირა ქვეყნები დაარწმუნონ, რომ მათ სამართლიან მოთხოვნილებათ თანაუგრძნობენ. ეს არის მათი აზრი, სიტყვა, საქმე კი? და სიტყვაც რომ მადიანი არ გამოდის? გრედესკულის ლექციის მეორე ნაწილის მთავარი აზრი ის იყო, რომ ხშირათ გაბატონებული ერისთვის უმჯობესია დაბეჩავებულ ერს ავტონომიაც კი მიანიჭოს, თუ კი მასში ნაციონალური გრძნობა განვითარებულია და ნაციონალური ბრძოლაა გაჩაღებული. ეს უფრო გამოსადეგია თვით „დიდი რუსეთის“-სთვის. აქ თითქო ორი საწინააღმდეგო მცნება, ნაციონალური ეგოიზმი გაბატონებული ერის და ნაციონალური ალტრუიზმი დაბეჩავებული ერის თავს იყრის. მაშასადამე თვით რწმენაშიც კი სხვა ერებისთვის თვითმართველობის მინიჭება პრინციპის მოთხოვნილება კი არა, ტაქტიკის კითხვას წარმოადგენს. ე. ი. სჯობს მიანიჭო თვითმართველობა, თუ კი ატყობ, რომ მთლად ჩამოშორებას აპირებენ, და ეს შეუძლიათ. ეს არის მათი სიტყვა, და საქმე ხომ ხშირათ ამასაც ეწინააღმდეგება.

გრედესკული სათათბიროს თავჯდომარის ამხანაგი იყო, როდესაც პოლონელთა კოლომ თავისი დეკლარაცია წაიკითხა მთავრობის დეკლარაციის საპასუხოთ. მასში მათ პოლონეთისთვის ავტონომია მოითხოვეს. პოლონეთმა სამი ამბოხება განვლო რუსეთისგან სრულიად დასაშორებლათ, ბევრი სხვერპლი შესწირა ამ საქმეს. ნაციონალური გრძნობა კი პოლონეთში ვინ არ იცის და თვით გრედესკულმაც აღნიშნა შაბათს, როგორაა განვითარებული. ავტონომიაც ხომ მათთვის მინიმუმი იყო და გრედესკული და იმის პარტია ხომ აფრთოვანებით უნდა შეხვედროდა მას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მილიუკოვი „რეჩ“-ში სწერდა—პოლონელებმა ისეთ ნიადაგზე დააყენეს კითხვა, რომ ჩვენ, მათ მეგობრებს არ მოგვეცა საშვალება იმისი მიღებისო.

და ვინ აქცევს ყურადღებას პოლიტიკურ პარტიის თეორიას, თუ ის მის რეალურ პოლიტიკას ეწინააღმდეგება? ვის უნდა აკმაყოფილებდეს ცარიელი სიტყვები დაბეჩავებულ ერთა მოთხოვნილებების სამართლიანათ აღსარებისა? არავის, გარდა იმათისა, ვისაც არ აქვს შეგნებული თავისი ეროვნული ინტერესები, ვისაც მუდამ სხვისი იმედი აქვს:—კეთილია და არ დამჩაგრავსო და ვინც შთაბეჭდილებით, და არა გონებით და ცხოვრების გაკვეთილებით ცხოვრობს.

ალ—ანი.

# სახალხო განათლების საქმე შვეციაში.

თითქმის არც ერთ სახელმწიფოში არ არის სწავლა-განათლების საქმე ისე კარგათ დაყენებული როგორც შვეციაში. შვეციელებმა თითქოს სავსებით შეიგნეს ჰეინეს სიტყვები—სწავლა აკეთილშობილებს ადამიანსაო,—შეიგნეს სწავლის დიადი მნიშვნელობა და ბეჯითადაც მოკიდეს მას ხელი. შვეციელები ჩვენებურ მრუდე გზას არ დასდგომიან და მხარე სხოლასტიკით გაჟღენთილი შკოლებით არ მოუფენიათ. რუსული პედაგოგიური გაზეთის „შკოლა ი ჟიზნის“ ცნობით შვეცია მოფენილია ისეთი შკოლებით, სადაც მეურნეობის ყოველ დარგს ასწავლიან. შკოლაში ალაგი აქვს აგრეთვე ადმინისტრაციის და მოქალაქის მოვალეობის შესახებ სწავლასაც. იქაური მკვიდრი რომ შკოლას გაათავებს, ქუჩაში ხეტიალს არ დაიწყებს და ყოველთვის იშოვის საქმეს; შკოლა ისეთ ცოდნას აძლევს მას რომ ეს ცოდნა ცხოვრებაში მუდამ შეუძლია გამოიყენოს. იქაურ შკოლაში მიღებული ცოდნით თავსაც დაირჩენს ყოველი და სამშობლოს სამსახურსაც შეიძლებს.

წერა-კითხვის უცოდინარს იშვიათად შეხვდებით. წინათ რო შვეციაში სამი მილიონი მცხოვრები იყო, ახლა ხუთ მილიონ ნახევრამდი არის. სამი მილიონი მცხოვრების დროს სახელმწიფო სახალხო განათლებაზე სამ მილიონ კრონს ხარჯავდა. დღეს სახელმწიფო ამავე საგანზე 42 მილიონ კრონს ხარჯავს.

თითოეულ მცხოვრებზე 7—8 კრონი იხარჯება. ამდენს სწავლა-განათლებაზე გარდა საფრანგეთისა არც ერთი სახელმწიფო არ ხარჯავს, 7—8 კრონი, ჩვენებურათ რო ვსთქვათ, ოთხი მანეთი და ხუთი შაურია. რუსეთმა რო თითოეულ მცხოვრებზე ოთხი მანეთი დახარჯოს, სახალხო, განათლებაზე მილიარდ-ნახევარი მანეთი დაეხარჯება.

შკოლები იქ სამაგალითო შენობებშია მოთავსებული და ყოველი მხრით კარგათ მოწყობილი. შკოლაში ჰიგიენას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. სწავლის მეთოდიც ისეთია, რომ ის მოწაფეს იზიდავს, და არ აძულებს, როგორც ეს ჩვენშია.

შვეცია არ არის ხშირი დასახლებული მხარე. შვეციის ზოგიერთ ნაწილში ერთ კვადრატ კილომეტრზე 12 კაცი ცხოვრობს. ამ დაბრკოლებას იქ ებრძვიან მოძრავი შკოლებით და სამკითხველოებით ამ ჟამათ შვეციაში 15000 მოძრავი შკოლაა.

ხალხში განათლების გასავრცელებლათ იქ არსებობს უმაღლესი სახალხო შკოლები ანუ სახალხო უნივერსიტეტები. სახელმწიფო და კომუნები ბევრს ცდილობენ რომ ეს რიცხვი კიდევ უფრო გაადიდონ.

---

ბულმა საგლეხო რეფორმამ ჩვენი გლეხი საშინელ ცუდ პირობებში ჩააყენა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართველი გლეხის აუწერელი მდგომარეობა—მიწის უქონლობაა; ამის დასამტკიცებლათ საკმაოა გავიხსენოთ, რომ ევროპის რუსეთში თითო პირის ნადელი 3. 4 დესეტ., საქართველოში კი იგი უდრის 0,73 დესეტინისას. ამ სახით გათავისუფლების დროს ქართველმა გლეხმა რუსის გლეხზე ხუთჯერ ნაკლები მიწა მიიღო ბატონებისაგან. უნუგეშოა სახაზინო გლეხთა მდგომარეობაც. თუ საბატონო გლეხები ბიუროკრატიამ თავად აზნაურთა სასარგებლოთ დაარბია, ამავე ბიუროკრატიამ და ამავე გვარათ დაარბია სახაზინო გლეხები ხაზინის სასარგებლოთ. უმიწაწყლოთ დარჩენილი გლეხობა უბრალოთ დაძრწის მთელი კავკასიის ტერიტორიაზე სამუშაოს საშოვნელათ, ვინაიდან ქვეყანა წარმოების ცენტრებს მოკლებულია. სახელმწიფოს წარმოებაში, როგორიც არის რკინის გზები, . ნაციონალისტური-რუსიფიკატორული პოლიტიკაა გამეფებული, რის გამოც ქართველი მუშა სამუშაოს ვერ პოულობს.

ქართველი სამღვდელოება, რომლის მიზანთა მიზანს ქართული ეკლესიის საკითხებში ავტოკეფალური მართვა-გამგეობა შეადგენს, ბიუროკრატიისაგან სისტემატიურათ იდევნება და შეურაცხყოფილია, რის მეოხებითაც ხალხში მისი პრესტიჟი, სახელი ეცემა,

ის სახელოვანი თავად-აზნაურობაც კი, რომელსაც ერთ დროს მთავრობა კალთას აფარებდა, მიწასთან გასწორებულია, დაღარიბებულია. თანდათან მიწა ხელიდან ეცლება და უფრო სავალალო ის არის, რომ ეს მიწა იმ გაძვალტყავებული გლეხის ხელში კა არ გადადის, არამედ ხაზინა იგდებს მას ხელში; იგივე ხაზინა ყოველ საშვალებას ხმარობს—ადმინისტრატიული ძალმომრეობის სახით და ან სამსჯავრო და სამიჯნო პროცესებით მიწა მიიკუთნოს. ამ მიზნითვე აარსეებს სხვადასხვა ბანკებს, როგორც არის სახელმწიფო-სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკები. აღსანიშნავია, რომ მოგროვილი მიწები რუსის ხაზინას ვერ გამოუყენებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ამ მიწებს იგი გერმანიიდან და ანატოლიიდან მოსულებს აძლევდა... უკანასკნელ დაბის რუსის მთავრობა იმის ცდაშია, რომ ქართველების მიწები რუსეთიდან გადმოსახლებულებს ჩაუგდოს ხელში და ყოველივე ეს პოლიტიკური მოსაზრებით ხდება; თორემ ვინ ვერ ხედავს, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნება პირდაპირ დამღუპველია რუს გადმოსახლებულთათვის.. ნათქვამიდან რწმუნდებით, რომ ქართველი ხალხი თავის ბედისა და რუსეთის პოლიტიკისა მადლიერი არაა. იგი გრძნობს, რომ უსამართლოთ დასჯილია. ასი წლის პოლიტიკა ნათლად მოწმობს იმას, რომ ქართველებს რუსის ბიუროკრატიის იმედი არ უნდა ქონდეს. და რამდენათაც ქართველი ხალხი ნდობას განუცხადებს ამ პოლიტიკას, იმდენათვე ჩვენს ქვეყანაში ბიუროკრატიის მართვა- გამგეობის საჭიროებას დაადასტურებს. თუ ქართველი ხალხი ლოიალურ გზას დაადგება და მორჩილებას გამოაცხადებს, ამით თავის თავს უნუგეშო მდგომარეობაში ჩააყენეს. ამ ლოიალურმა პოლიტიკამ იმ ყოფამდი მიიყვანა ხალხი. რომ მისი აუცილებელი მოთხოვნილებანი უყურადღებოთაა დატოვებული. მორჩილებამ ხალხს დაავიწყა თავის კანონიერი ინტერესები. ასე იყო და არის ასი წელიწადია. ამ გარემოებამ ნათლად დაანახვა ქართველებს, რომ დღევანდელი ორგანიზაცია, დღევანდელი მართვა-გამგეობა არ ეთანხმება ჩვენს ხალხში მომწიფებულს, პოლიტიკურ მოთხოვნილებათ, უმწეო და უნუგეშოა ჩვენი მდგომარეობა მაშინაც კი, როცა მართვა-გამგეობის სათავეში ასე თუ ისე კეთილ-განწყობილი პირი დგას.

ბბ. სახელმწიფო სათათბიროს წევრნო! არ არის ხალხი, რომელსაც შეეძლოს თავის დაღუპვას, თვის სიკვდილს გულხელდაკრეფილი უცქიროს. და ამავე დროს ვერ განიკურნება ხალხი, თუ მასში სიცოცხლის ძალა არ სჩქეფს. ამით აიხსნება ის, რომ ქართველი ხალხი ამ ბოლო დროს დიდ ცხოველმყოფელობას იჩენს, მასში დიდი წადილია საკუთარი თავდაცვისა. თუ რუსეთს არა სურს, ქართველი ხალხი დაღუპვის გზას დააყენოს, ამ ხალხის სურვილებს გსავალი გზა უნდა მიეცეს. მე ვთქვი კიდეც, ქართველი ხალხი შორს არის იმ ფიქრისგან, რომ რუსეთის მთლიანობა დაარღვიოს. სწორეთ ეს მთლიანობა მოითხოვს, რომ ყველა ერს, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედის, ადამიანური, შესაფერი პოლიტიკური ცხოვრება მიენიჭოს. საუკეთესო პოლიტიკურ ღონისძიებათ ჩაითვლება ის, თუ ცხოვრებაში გატარებული იქნება როგორც თვითმართველობის, საერობოს და სამეურნეო, აგრეთვე საზოგადოებრივი პოლიტიკური პრინციპები, პოლიტიკური ავტონომია, როგორც მშრომელს, ისე მთელ ხალხს თავისუფალ განვითარების გზაზე დააყენებს. რაც ვერ შესძლო რუსის ბიუროკრატიამ, რუსის ხალხმა შესძლოს და მოგვანიჭოს. ბ-ბო, ასი წელიწადია, გულწრფელათ მივენდეთ რუსის ბიუროკრატიას, არაფერი ჩვენს საკეთილდღეოთ არ გაუკეთებია. დარწმუნდით, ქართველ ხალხს რუსეთისგან გათიშვა არა სურს. პირიქით, იგი დარწმუნებულია, მომავალშიც რუსეთთან მოუხდება ცხოვრება. მხოლოდ მიეცით უფლება ქართველ ხალხს თავისუფლათ ამოსუნთქვისა, უზრუნველყავით მისი ცხოვრება. ბ-ბო, თქვენ 5 დეკემბერს მხურვალე ტაშისცემით შეხვდით მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს, როცა მან სიყვარულით მოიხსენია ბალკანეთის სლავიანები. თუ ამ ტაშით არ გამოხატეთ ბალკანეთის ხალხისადმი მარტო ნათესაური გრძნობა და უფრო მაღალი გრძნობით ხელმძღვანელობდით ამ დროს, ცხადია, ჩემსასაც მიხვდებით. უნდა გაიგოთ და დამეთანხმოთ, რომ სრული ასი წელიწადი საქართველო, ბალკანეთის სლავიანთა მზგავსად, დამცირებულია და შეურაცყოფილი. რუსის ბიუროკრატია ჩვენთვის იგივე იყო, რაც თურქები სლავიანთათვის, დარწმუნებული ვარ, რაც არ მოისურვა, არ მოიქმედა რუსის ბიუროკრატიამ, მას რუსის ხალხი და მისი წარმომადგენლები იკისრებენ. (ტაში მარცხნივ).

**ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო** ქუთაისში.

ალექსანდრეს ქუჩა, კოკოჩაშვილის სახლი.

მაქვს პატივი ვაუწყო ქუთაისისა და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთაც, რომ ვინაიდან დიდძალი საქონელი მო მიგროვდა, ამა წლის 20 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდი გნიშნავ არაჩვეულებრივ

# იაფ ვაჭრობას.

ყოველ საქონელზე, რაც ჩემს სავაჭროში აწყვია ფასი შეუვაჭრებლათ

# ფ. ს. ფილიპოვისა

ვაჭრობა ნაღდზე.

იმედია, საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს ჩემს სავაჭროს და, რო მობრძანდება, დარწმუნდება—რა იაფობაცაა იქ.

**სავაჭრო სახლი**

# ი. გოკიელის ძმ-ები

ქუთაისში.

# 27, 28, 29, 30, და 31, გაიყიდება

ფპრილათქომფეტებ დაკლებულ ფასებში.

## მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913

# იმერეთი

წელიწადი მეორე 1913

| | | |
|---|---|---|
| **გაზეთის ფასი:** | ერთი წლით . . | 7 მანეთი, |
| | ნახევარი წლით . . | 4 მანეთი, |
| | ერთი თვით . . | 4 აბაზი |
| | და ცალკე ნომრის . . | 1 შაური. |

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ენკენისთვესაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სასტუდენტოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო სტრიქონი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

**ჩამოთვლილი პირობებით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში:**

ქუთაისში—გაზ. იმერეთის კანტორაში, ივანოვის ქ., ჰილაძის სახლი; ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“—ისიდორე კვიცარიძესთან, ქალაქის ბაღის პირდაპირ; ამბროსი ხვინგიასთან, საბაკალეინო სავაჭროში (ღულაძის მიდორზე) და თეთრი ხიდის თავში, მოვაჭრე ალიხანოვთან; ბაქოში—გრიგოლ ნიჟარაძესთან; ჭიათურაში—შილაკაძესთან, ფოთში—სიმონ ორაგველიძესთან, სამტრედიაში—ვ. ახობაძესთან, ზესტაფონში—ი. კაკაბაძესთან, ოზურგეთში—მოსე თალაკვაძესთან, სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან, ბათომში—გ. მახარაძესთან, ხაშურში—იოსებ ყაჭეიშვილთან, ხონში—წერა-კითხვის გ. ს. სევერიანე კაკაბაძესთან; დანჩხუთში—ვ. კალანდაძესთან; სენაკში—ვ. კალანდაძესთან; აბაშაში—პლ. ლეჟავასთან; ჩოხატაურში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, ზუგდიდში—ნიკო ბერიძესთან და თფილისში—ჟურნალ-გაზეთების ბიუროსთან.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михайловичу Желадзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

შვეციას ერთი საშიში მეზობელი ყავს, გერმანია. მის დამოუკიდებლობას გერმანიისგან საფრთხე მოელის და რომ ეს დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს ამისათვის საჭიროა ხალხის განათლება. გერმანიასთან შვეცია თუ არა განათლებით ისე ვერაფერს გახდება.

უმაღლესი სახალხო შკოლები უმთავრესად სოფლათაა. ამ შკოლაში ღებულობენ ახალგაზდებს როგორც დედათა ისე მამათა სქესისას. სწავლის ფასი რვაცხრა მანეთს არ აღემატება. შკოლაში მამაკაცები ზამთრობით მაცადინეობენ, ხოლო ქალები ზაფხულობით. მამაკაცებს ზაფხულობით არ აქვთ თავისუფალი დრო, დედაკაცები კი ამ დროს უფრო თავისუფალი არიან.

ამ შკოლაში სწავლობენ სამშობლო ენას, ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას, სასოფლო სამეურნეო ეკონომიას, ჰიგიენას, ანგარიშს და სხვ. ამას გარდა იმართება საღამოები, ლიტერატურული კითხვები და დისკუსიები სხვადასხვა საკითხებზე.

სახალხო უნივერსიტეტი თავდაპირველათ კერძო ინიციატივით არსდება; როდესაც ის ფეხს მოიკიდებს მას მთავრობა ღებულობს თავის მფარველობის ქვეშ. 1910 წელს 41 ამგვარ შკოლის საჭიროებაზე მთავრობამ 250,000 კრონი დახარჯვა.

არსებობს შვეციაში შკოლები ბრმათათვისაც.

„შკოლა ი ჟიზნის“ ცნობით საიდანაც ეს ცნობები ამოვკრიბეთ დღეს იქ ქალაქ ადგილს 40, ხოლო სოფლათ 1500 უმაღლესი შკოლა არსებობს.

სახელმწიფო, რაც ხანი მიდის, უფრო მეტ ყურადღებას აქცევს სახალხო განათლებისა და სახალხო უნივერსიტეტების მოწყობის საქმეს, მიმდინარე წელს პოპულიარული ლექციების მოსაწყობათ სახელმწიფომ 2,700,000 კრონი გადადვა, ხოლო საშკოლო და სახალხო სამკითხველოების მოსაწყობათ კი 170,000 კრონი. იქ ათასი სამკითხველო და 1500 სახალხო უნივერსიტეტი არსებობს.

არსებობს შვეციაში ერთი საყურადღებო დაწესებულებაც. ეს არის სახალხო განათლების საქმის ხელშემწყობი დაწესებულება. მისი მიზანია დაეხმაროს მთავრობას განათლების საქმეში. ის თაოსნობს სახალხო უნივერსიტეტების და სამკითხველოების დაარსების საქმეს. ამ დაწესებულებებს განათლების ხელშემწყობი საზოგადოება ეხმარება წიგნების გამორჩევასა და ბუნდოვანი სურათების არჩევაში. ერთი სიტყვით ეს საზოგადოება შვეციაში სახალხო განათლების საქმეს ხელმძღვანელობს.

საზოგადოება ცხრა წლის წინათ 1903 წელს დაარსდა. მისი თანამგრძნობელთ რიცხვი თანდათან იზრდება და დღეს მას 25 ათასი კრონი შემოსავალი აქვს.

მართალია სახელმწიფო სახალხო განათლებაზე ბევრ ფულს ხარჯავს, მაგრამ აქ დახარჯული ფული დაკარგულათ არ ჩაითვლება. დღეს შვეციაში ხალხის კეთილდღეობა უზრუნველყოფილია.

**აქილესი.**

რედაქტორ-გამომცემელი

გ. ე. ჭელიძე

ვკირას 23 დეკემბერს გამო-ვა ახლათ ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ჩვენი დროება“.

ხელისმოწერის პირობები თფილისში და თფილის გარეთ: წლიურათ—5 მ., ნახევარი წლ.—3 მ., ერთი თვით—60 კ., საზღვარგარეთ ერთი ორათ მეტი. ცალკე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—15 კ., მეოთხეზე—10 კ.

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ანდრონიკაშვილი ი., ახნაზაროვი არტემ, ამირაჯიბი გ., ანდრონიკაშვილი კ., გომართელი ი., გოთუა პ., გოგიჩაიშვილი ფ., გულისაშვილი ზ., გვაზავა გ., გუნია ვ., დუმბაძე დ., დავით ეპისკოპოსი ევდოშვილი, ვართაგავა ი., იოსელიანი ეგ., კასრაძე დ., მგალობლიშვილი ს., მესხი კ., ნატროშვილი ანტ., იასე რაჭველი, ჯანაშვილი მ., ყიფშიძე გრ., თუმანიშვილი კ., შალიკაშვილი ვალ. და სხვ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Д. З. Сараджева, рядомъ съ редакц. газ. „Закавказская Рѣчь“. Телефонъ №—12—48. Для телеграммъ: Тифлисъ „Дроеба“.

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.

გამომცემელნი } ერ. დ. გორდელაძე, მ. გაჩეჩილაძე.

ახლათ თავახსნილი სამანუფაკტ. მაღაზია

# გ. დ. კაჭკაჭოვისა.

(გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ).

საზოგადოების თხოვნით დიდ

# იაფ ვაჭრობას

ვაგძელებ 25 დეკემბრამდი.

სადაც გაიყიდება მაუდების, შალების, აბრეშუმების, ტილოებისა და ბამბეულობის მატერიები, მაგიდის თეთრეულები, ტიულის ფარდები და შეკერილი „რუბაშკები.“ ფასები ქარხნებისაა და მასთან უვაჭროთ. ვიმედოვ, რომ პატივცემული საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას საქონლის სიაფეს და მით ისარგებლებს შემთხვევით

პატივისცემით გ. დ. კაჭკაჭოვი



# იულიუს საარეკ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. დაბათოემის მაზრისა ამ მშვენიერ სანგმლივ ფარნებისა

იგა ი. ნ.

უფრთხილდით მიმსგავსებას

მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ტელეფონი № 18

რა საჭიროა—სოფელში აშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოსტატიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ

# ძმ. ე. და პ. სააკაშვილების

**სავაჭროში, ქუთაისში.**

(შუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

**იყიდება ქურა (პლეტა)**, თუჯის ორი „კომფორკით“ „დუხოვკით“, სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ დაჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები მალიან ცოტა არის მოსული.

# ალექსანდრე კოსტავას

**ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში**

თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი ტანისამოსი 25% ნაკლებ იყიდება, რადგანაც სეზონი გადის და ბევრი ჩამოგვრჩა. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმიმცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტუმო მატერია კაცებისათვის.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.